

შეთანხმება

საქართველოს მთავრობასა და თურქეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის ენერგეტიკის სფეროში თანამშრომლობის შესახებ

პრეამბულა

საქართველოს მთავრობა და თურქეთის რესპუბლიკის მთავრობა (შემდგომში, ცალკეული „მხარედ“, ხოლო ერთობლივად „მხარეებად“ წოდებულნი),

ითვალისწინებენ რა, ორ ქვეყანას შორის არსებულ ღრმა ურთიერთობებსა და მჭიდრო მეგობრულ კავშირებს,

აღნიშნავენ რა, მხარეთა შორის ეკონომიკური და სოციალური თანამშრომლობის გააქტიურებისა და გაფართოების მნიშვნელობას,

სურვილს გამოხატავენ რა, გააძლიერონ თანამშრომლობა ენერგეტიკის სფეროში, რომელიც ეფუძნება თანასწორობის, ურთიერთპატივისცემისა და ურთიერთსარგებლიანობის პრინციპებს,

სრულად აცნობიერებენ რა, რომ ასეთი თანამშრომლობა აძლიერებს ორ ქვეყანას შორის ურთიერთობებს და სურთ რა, კიდევ უფრო განავითარონ არსებული ურთიერთობები ენერგეტიკის სფეროში,

თანხმდებიან შემდეგზე:

მუხლი 1 განმარტებები

ძირითად ტერმინებს, რომლებიც გამოიყენება წინამდებარე შეთანხმებაში, მათ შორის პრეამბულაში, გააჩნიათ ქვემოთ მოცემული შემდეგი მნიშვნელობები:

1. „სამოქმედო გეგმა“ წარმოადგენს სახელმძღვანელო მითითებას ერთობლივ ძალისხმევასთან დაკავშირებით, რომელიც მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს და მხარი დაუჭიროს ენერგორესურსების განვითარებას საქართველოში, წინამდებარე შეთანხმების მე-6 მუხლის თანახმად;
2. „შეთანხმება“ ნიშნავს წინამდებარე შეთანხმებას საქართველოს მთავრობასა და თურქეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის ენერგეტიკის სფეროში თანამშრომლობის შესახებ, რომელიც შეიძლება შესწორდეს ან სხვაგვარად შეიცვალოს;
3. „ხელმისაწვდომი გადასაცემი სიმძლავრე“ ან „ATC“ ნიშნავს NTC (ქსელის გამტარუნარიანობის) ნაწილს, რომელიც შემდგომი კომერციული საქმიანობებისათვის ყოველი გადანაწილების ფაზის შემდეგ რჩება ხელმისაწვდომი და შეთავაზებულია მომხმარებლებისათვის ასათვისებლად, როგორც აღნიშნული განმარტებულია 2012 წლის 20 იანვრის „საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის ახალციხე-ბორჩხას ურთიერთდამაკავშირებელი ხაზის მეშვეობით ელექტროენერგიით ტრანს-სასაზღვრო ვაჭრობის შესახებ შეთანხმებაში“.
4. „კომპეტენტური ორგანოები“ ნიშნავს სახელმწიფო ორგანოებს, რომლებიც განსაზღვრულნი არიან მხარეთა მიერ, წინამდებარე შეთანხმების მე-4 მუხლის შესაბამისად.
5. „ენერგეტიკის სამუშაო ჯგუფი“ ნიშნავს სამუშაო ჯგუფს, რომელიც დაფუძნდება მხარეთა მიერ, და კოორდინირებას გაუწევს წინამდებარე შეთანხმების ყველა მუხლის იმპლემენტაციას.
6. „ENTSO-E“ ნიშნავს ელექტროენერგიის გადამცემი სისტემის ოპერატორთა ევროპულ ქსელს.
7. „ESCO“ ნიშნავს სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“, რომელიც



სათანადოდ არის შექმნილი საქართველოს შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის შესაბამისად;

8. „GSE” ნიშნავს სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას”, რომელიც წარმოადგენს საქართველოს გადაცემის სისტემის ოპერატორს. იგი ფლობს და აკონტროლებს ელექტროენერჯის გადაცემის სისტემის ნაწილს, ასევე ახორციელებს დისპეტჩერიზაციას და აკონტროლებს საქართველოს ენერგეტიკულ სისტემას;

9. „საერთაშორისო შეთანხმება” ნიშნავს საერთაშორისო შეთანხმებას, რომელიც გაფორმებულია საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის და/ან საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკის მიერ სხვა სახელმწიფოებთან და/ან საერთაშორისო ორგანიზაციასთან/ორგანიზაციებთან, წერილობითი ფორმით და რეგულირდება საერთაშორისო სამართლის თანახმად, რომელიც გამოხატულია ერთიანი დოკუმენტით ან ორი ან მეტი შესაბამისი დოკუმენტით, განურჩევლად მისი დანიშნულებისა;

10. „გრძელვადიანი გეგმა” ნიშნავს ათ (10)-წლიან გეგმას, რომელიც ერთობლივად მომზადებულია მხარეთა TSO-ების(გადაცემის სისტემის ოპერატორები) მიერ, გადაცემის ქსელის განვითარების მიზნით, საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის სახელმწიფო საზღვრის მიმდებარე რეგიონებში (რომელიც მოიცავს თურქეთის რესპუბლიკასა და საქართველოს შორის ურთიერთდამაკავშირებელ ხაზებს) და რომელიც რეგულარულად ახლდება მხარეთა TSO-ების მიერ და მტკიცდება კომპეტენტური ორგანოების მიერ, მე-8 მუხლის „d” ქვეპუნქტის თანახმად;

11. „შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა” ნიშნავს თითოეული შესაბამისი მხარის კანონებსა და კანონქვემდებარე აქტებს, რომელიც შეადგენს მთლიან სამართლებრივ რეჟიმს და მოიცავს კონსტიტუციას, კანონებს, საერთაშორისო შეთანხმებებს, დადგენილებებს, რომელთაც კანონის ძალა აქვს, კანონქვემდებარე აქტებს, რეგულაციებს, დადგენილებებს და სხვა მარეგულირებელ ადმინისტრაციულ აქტებს;

12. „ქსელის გამტარუნარიანობა” ან „NTC” ნიშნავს ელექტროენერჯის გაცვლის მთლიან პროგრამას (ახალციხე-ბორჩხას ურთიერთდამაკავშირებელი ხაზის მეშვეობით) ორ, ურთიერთდამაკავშირებულ გადაცემის სისტემას შორის, რომელიც აკმაყოფილებს შესაბამისი გადაცემის სისტემების მიერ გარკვეული დროის პერიოდისათვის აქტიური სიმძლავრის ნაკადის მიმართულებით დაწესებულ უსაფრთხოების სტანდარტებს, როგორც განმარტებულია 2012 წლის 20 იანვრის „საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის ახალციხე-ბორჩხას ურთიერთდამაკავშირებელი ხაზის მეშვეობით ელექტროენერჯით ტრანსსასაზღვრო ვაჭრობის შესახებ შეთანხმებაში“.

13. „სახელმწიფო უფლებამოსილი ორგანო” ნიშნავს რომელიმე მხარის ნებისმიერ და ყველა ეროვნულ თუ ადგილობრივ დაწესებულებას, მათ შორის, სამინისტროებს, დეპარტამენტებს, ადმინისტრაციულ ორგანოებს, აღმასრულებელ და მარეგულირებელ ორგანოებს, სააგენტოებს, სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ კომპანიებს;

14. „TEIAS” ნიშნავს თურქეთის ელექტროენერჯის გადაცემის კორპორაციას, რომელიც წარმოადგენს თურქეთის გადაცემის სისტემის ოპერატორს, ფლობს და აკონტროლებს თურქეთის გადაცემის სისტემას და ახორციელებს თურქეთის რესპუბლიკის ელექტროენერგეტიკული სისტემის ოპერატიული დისპეტჩერიზაციის კონტროლს;

15. „TETAS” ნიშნავს თურქეთის ელექტროენერჯით ვაჭრობისა და ხელშემკვრელ კომპანიას – კომპანიას, რომელიც სათანადოდ არის შექმნილი თურქეთის რესპუბლიკის შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის შესაბამისად და რომელიც ჩართულია ელექტროენერჯით ვაჭრობის საკითხებში, თურქეთის რესპუბლიკაში და აღასრულებს სხვა ფუნქციებს, რომელიც განსაზღვრულია შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით;

16. „გადამცემი სისტემა” ნიშნავს მაღალი ძაბვის სახელმწიფო გადაცემის სისტემას, რომელიც მოიცავს მასთან დაკავშირებულ ყველა ინფრასტრუქტურულ ერთეულს;

17. „გადამცემი სისტემის ოპერატორი” ან „TSO” ნიშნავს იურიდიულ პირს, რომელიც სათანადოდ არის უფლებამოსილი და პასუხისმგებელია თითოეული შესაბამისი მხარის გადაცემის სისტემის მუშაობასა და ტექნიკურ უზრუნველყოფაზე, ასევე, საჭიროების შემთხვევაში, აღნიშნული სისტემის



განვითარებაზე და უზრუნველყოფს სისტემის გრძელვადიან ფუნქციონირებას ისე, რომ მან დააკმაყოფილოს ელექტროენერჯის გადაცემისათვის საჭირო გონივრული მოთხოვნები.

მუხლი 2

ინტერპრეტაცია

1. წინამდებარე შეთანხმების დაყოფა მუხლებად, პუნქტებად და სხვა ნაწილებად და სათაურების გამოყენება ემსახურება მხოლოდ მითითებების მოხერხებულობას და გავლენას არ ახდენს შინაარსზე ან ინტერპრეტაციაზე.
2. თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული, მითითება კონკრეტულ მუხლზე ან პრეამბულაზე, ეხება წინამდებარე შეთანხმების კონკრეტულ მუხლს ან პრეამბულას.
3. ტერმინები „წინამდებარე შეთანხმება“, „აქედან გამომდინარე“, „ამასთან“ და მსგავსი ფორმულირება მიეკუთვნება წინამდებარე შეთანხმებას და არა რომელიმე კონკრეტულ მუხლს, პარაგრაფს ან აღნიშნული შეთანხმების რომელიმე ნაწილს.
4. თუ სპეციალურად სხვაგვარად არ არის განსაზღვრული ან თუ კონტექსტი სხვაგვარად არ მოითხოვს, სიტყვებს, რომელიც მოცემულია მხოლოდით რიცხვში, გააჩნიათ მრავლობითი რიცხვის მნიშვნელობა და პირიქით.
5. სიტყვები, რომელიც გამოხატავს კონკრეტულ სქესს, განკუთვნილია ყველა სქესისთვის.
6. თითოეული მითითება შეთანხმებაზე ან დოკუმენტზე, ნებისმიერ დროს, უნდა განიხილებოდეს როგორც მითითება შესაბამის შეთანხმებაზე ან დოკუმენტზე, რომელშიც შესაძლოა შესულია ცვლილება ან დამატება მისი პირობების შესაბამისად.
7. თუ წინამდებარე შეთანხმებაში მითითება კეთდება პერიოდზე ან დროის პერიოდებზე, თუ სხვაგვარად არ არის განსაზღვრული, საექვო პერიოდის ათვლის დროდ უნდა ჩაითვალოს ასეთი პერიოდის პირველი დღის შუაღამე და დასრულების თარიღად, აღნიშნული პერიოდის დასრულების უკანასკნელი დღის შუაღამე.

მუხლი 3

მიზანი

1. წინამდებარე შეთანხმების მიზანს წარმოადგენს მხარეთა შორის ორმხრივი სამეცნიერო, ტექნიკური, ტექნოლოგიური, სამართლებრივი, ადმინისტრაციული და კომერციული თანამშრომლობის ხელშეწყობა ენერგეტიკის სფეროში, კერძოდ ენერგორესურსების, მწვანე ენერჯის და ენერგოეფექტურობის, ელექტროენერჯით ვაჭრობის სფეროში, ასევე, თანამშრომლობას ელექტროენერჯის გადაცემის ახალი ინფრასტრუქტურის განვითარებისა და ელექტროენერჯის გადაცემის სფეროში, თანამშრომლობა ელექტროენერჯისა და ENTSO-E ინტეგრაციის პროცესის შესახებ ცოდნის/გამოცდილების გაზიარების კუთხით, თავიანთი შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის ფარგლებში.
2. წინამდებარე შეთანხმების მიზნის მისაღწევად, მხარეებმა, თავიანთი შესაბამისი შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობისა და წინამდებარე შეთანხმების ფარგლებში, უნდა ითანამშრომლონ შემდეგ სფეროებში:
 - a) ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება თავიანთი ენერგოსექტორის განვითარების, მათ შორის ENTSO-E ინტეგრაციის პროცესის კუთხით;
 - b) ადამიანური რესურსების ტრენინგი ენერგოსექტორის ტექნიკურ საკითხებში;
 - c) ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება ენერგეტიკის სფეროსთან დაკავშირებულ საკანონმდებლო და მარეგულირებელ საკითხებში;



d) გამოცდილებისა და შეფასების გაზიარება, განსკუთრებით სახელმწიფო ორგანოებსა და მხარეთა კერძო პირებს შორის (რომლებიც მოღვაწეობენ ენერგეტიკის სფეროში) პარტნიორობის განმტკიცების გზით;

e) სემინარების, კონფერენციების, გამოფენებისა და სხვა შეხვედრების ერთობლივი ორგანიზება, რომელიც უკავშირდება ენერგეტიკის სფეროს, და

f) ერთობლივი კვლევების ორგანიზება ელექტროენერჯის წარმოების, გადაცემის, აღნიშნულით ვაჭრობისა და გადატვირთვის მართვის, სიმძლავრის სასისტემო რეზერვისა და მოთხოვნის პროგნოზის კუთხით.

3. მხარეები თანხმდებიან, განახორციელონ ყველა საჭირო ზომა წინამდებარე შეთანხმების შესრულების მიზნით.

მუხლი 4

წინამდებარე შეთანხმების კავშირი

შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობასთან

იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე შეთანხმებით გათვალისწინებული ვადები და პირობები წინააღმდეგობაშია რომელიმე მხარის შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობასთან, წინამდებარე შეთანხმებით გათვალისწინებული ვადები და პირობები გამოიყენება აღნიშნული შეთანხმების ფარგლებში.

მუხლი 5

კომპეტენტური ორგანოები და ენერგეტიკის სამუშაო ჯგუფი

1. წინამდებარე შეთანხმების განხორციელების მიზნით, მხარეები ნიშნავენ შემდეგ კომპეტენტურ ორგანოებს:

- საქართველოს მთავრობის მხრიდან – საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო; და
- თურქეთის რესპუბლიკის მთავრობის მხრიდან – თურქეთის რესპუბლიკის ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო.

2. მხარეებმა უნდა დააფუძნონ ენერგეტიკის სამუშაო ჯგუფი, რათა კოორდინირება გაუწიონ წინამდებარე შეთანხმების განხორციელებას და ხელი შეუწყონ მხარეთა შორის ენერგეტიკის სფეროში თანამშრომლობას. ენერგეტიკის სამუშაო ჯგუფი შეიკრიბება მონაცვლეობით, მინიმუმ წელიწადში ერთხელ.

მუხლი 6

ენერგორესურსების, მწვანე ენერჯის და

ენერგოეფექტურობის გამოყენება

1. მხარეები თანხმდებიან, ითანამშრომლონ ენერგორესურსების, მწვანე ენერჯის და ენერგოეფექტურობის სფეროში.

2. მხარეებმა უნდა განსაზღვრონ ბიზნესშესაძლებლობები ენერგორესურსების, მწვანე ენერჯის და ენერგოეფექტურობის სფეროში და ხელი შეუწყონ ორივე მხარის სახელმწიფო ორგანოებსა და ინვესტორებს იმუშაონ ერთობლივად, ენერგორესურსების, მწვანე ენერჯის და ენერგოეფექტურობის სფეროში არსებული პროექტების ხელშეწყობისა და განვითარების მიზნით.

3. მხარეებმა, რომლებიც განიხილავენ, საქართველოს ენერგორესურსების, ასევე განახლებადი ენერგორესურსების გამოყენებას მომდევნო 15 წლის განმავლობაში, უნდა ითანამშრომლონ ამ მხრივ,



შესაბამისი პროექტების განხორციელების მიზნით. ამგვარი თანამშრომლობა ითვალისწინებს ახალი თაობის საწარმოების გამოყენებას და, ასევე, საჭირო ინფრასტრუქტურის განვითარებისა და ვაჭრობის გამარტივებას, ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულებების გაფორმების გზით, როგორცაა ელექტროენერჯის გრძელვადიანი ნასყიდობის ხელშეკრულებები, რომელიც შესაბამისობაშია ENTSO-E წესებთან. ასევე, ელექტროენერჯის სისტემების პირობების ხელმისაწვდომობას, რაც უნდა ითვალისწინებდეს ფინანსურ და სამართლებრივ გარემოებებს, რომელიც უკავშირდება ზემოაღნიშნული ელექტროენერჯის შესყიდვასა და მათ გამოიმუშავებას ახალი საწარმოების მეშვეობით, რომელიც უნდა შეიქმნას საქართველოში.

4. ენერგეტიკის სამუშაო ჯგუფმა უნდა მოამზადოს სამოქმედო გეგმა, რათა ერთობლივი ძალისხმევით უზრუნველყოს და ხელი შეუწყოს საქართველოში ენერგორესურსების განვითარებას და დასამტკიცებლად უნდა წარუდგინოს მოცემული სამოქმედო გეგმა კომპეტენტურ ორგანოს. კომპეტენტური ორგანოების მიერ სამოქმედო გეგმის დამტკიცების პროცედურა უნდა დასრულდეს 2016 წლის ბოლომდე.

მუხლი 7

ელექტროენერჯით ვაჭრობა

1. მხარეები აცხადებენ თავიანთ ერთობლივ მიზანს, გააძლიერონ საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკის ელექტროენერჯის ბაზრებს შორის თანამშრომლობა. სწორედ ამ მიზნით, მხარეები თანხმდებიან, დააკმაყოფილონ შემდეგი მოთხოვნები:

a) განავითარონ სიმძლავრის აუქციონის პლატფორმების ურთიერთკავშირები ორივე ქვეყანაში, რომელიც ეფუძნება იმავე პროგრამულ უზრუნველყოფას, რაც გამოიყენება თურქეთში;

b) 2015 წლის მაისიდან მხარეთა TSO-ებმა უნდა დაასრულონ დაგეგმვის, სიმძლავრის გაანგარიშების/განსაზღვრის, დაგეგმვისა და სიმძლავრის განაწილების პროცედურები ასინქრონულ პარალელურ რეჟიმში მუშაობისთვის, ისე როგორც ეს ხორციელდება სინქრონულ პარალელურ რეჟიმში მუშაობისას თურქეთში.

2. იმ მიზნით, რომ გაძლიერდეს მხარეთა შორის ელექტროენერჯით ვაჭრობა, სხვა კომერციული ორგანიზაციების არსებული და სამომავლო უფლებებისა და ვალდებულებების შელახვის გარეშე, TETAS ასევე წარმოადგენს თურქეთის რესპუბლიკის მთავრობის მიერ სათანადოდ უფლებამოსილ პირს, რათა აწარმოოს ვაჭრობა ქართულ უწყებებთან (მათ შორის, ESCO-თან), ელექტროენერჯის შესახებ მოკლე და/ან გრძელვადიანი ნასყიდობის ხელშეკრულებების დადების გზით. წინამდებარე მუხლი საფრთხეს არ უნდა უქმნიდეს, ან არ უნდა ზღუდავდეს რომელიმე სხვა პირის უფლებებს, განხორციელოს ტრანსსასაზღვრო ვაჭრობა ერთმანეთთან და TETAS-ისგან დამოუკიდებლად და არ უნდა იქნეს გაგებული, როგორც აღნიშნული უფლების შეზღუდვა.

მუხლი 8

ახალი გადამცემი ინფრასტრუქტურის განვითარება

მხარეები თანხმდებიან, რომ თურქეთ-საქართველოს ურთიერთდამაკავშირებელი ინფრასტრუქტურის შემდგომი განვითარება უნდა მოიცავდეს ქვემოთ მოცემულ ძირითად ეტაპებს:

a) ძირითადი პოზიციების შეჯერება, რომ ელექტროენერჯის ურთიერთდამაკავშირებელი ნებისმიერი გადამცემი ხაზი, უნდა იყოს მხარეთა TSO-ების კონტროლის ქვეშ. საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის ურთიერთდამაკავშირებელი ხაზების ფუნქციონირების განმავლობაში, უნდა გამოიყენებოდეს საერთო და არადისკრიმინაციული წესები, რომელიც დადგენილია საერთაშორისო შეთანხმებებითა და შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით;

b) ახალციხე-თორთუმის 400კვ. ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობის შესახებ შეთანხმების ხელმოწერა და დამატებით მუდმივი დენის ჩანართი არაუგვიანეს 2016 წლისა;

c) ბათუმი-მურათლის 154კვ. ელექტროგადამცემი ხაზის პროექტის, მუდმივი დენის ჩანართის



პროექტთან ერთად, შემდგომი რეალიზაციის ხელშეწყობა ბათუმში;

d) მხარეთა TSO-ების მიერ გადამცემი ქსელის განვითარების გრძელვადიანი გეგმის ერთობლივად მომზადება, მათ შორის, ურთიერთდამაკავშირებელ ხაზებთან დაკავშირებით, რომლებიც მდებარეობს საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვრის მიმდებარე რეგიონებში, არაუგვიანეს 2016 წლისა და მხარეთა TSO-ების მიერ მისი რეგულარულად განახლების უზრუნველყოფა და გრძელვადიანი გეგმის წარდგენა კომპეტენტური ორგანოებისათვის, დასამტკიცებლად. კომპეტენტური ორგანოების მიერ გრძელვადიანი გეგმის დამტკიცების პროცედურა უნდა დასრულდეს 2016 წლის ბოლომდე და როდესაც დამტკიცდება კომპეტენტური ორგანოების მიერ, TSO-ები ჩაითვლებიან უფლებამოსილად, აღასრულონ მოცემული გრძელვადიანი გეგმა.

მუხლი 9

ელექტროენერჯის გადაცემა

1. მხარეებმა უნდა ითანამშრომლონ ელექტროენერჯის გადაცემის სფეროში, შემდეგ საკითხებში:
 - a) ელექტროგადამცემ ქსელთან დაკავშირებულ ტექნოლოგიებში, კერძოდ, ჭკვიანი ქსელის ტექნოლოგიებში გამოცდილების ურთიერთგაცვლა;
 - b) ექსპორტ-იმპორტის პოტენციალის გამოყენების ხელშეწყობა მხარეთა შორის;
 - c) სიმძლავრის განაწილება ურთიერთდამაკავშირებელ ხაზებზე უნდა განხორციელდეს „წლით ადრე“, „თვით ადრე“ და „დღით ადრე“ პრინციპის შესაბამისად;
 - d) გამოცდილების გაზიარება იმ მიზნით, რომ მოხდეს გადაცემის სისტემის ოპერატორების ორგანიზაციული სტრუქტურის განახლება;
 - e) ტექნიკური თანამშრომლობა ელექტროენერჯის გადამცემი ქსელის მშენებლობის, ექსპლუატაციისა და მასთან დაკავშირებულ ტექნიკურ საკითხებში;
 - f) მხარეთა კომპეტენტური ორგანოების მიერ უფლებამოსილ კომპანიებს შორის ავარიულ სიტუაციებში დახმარების გაწევის თაობაზე ხელშეკრულების ხელმოწერა არა უგვიანეს 2015 წლისა.
2. იმავე წესებისა და პროცედურების შესაბამისად, რომელიც გამოყენებულია ENTSO-E-ში, TSO-ები ითანამშრომლებენ საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის ურთიერთდამაკავშირებელ ხაზზე NTC/ATC გაანგარიშების კუთხით და ამ მიზნით გაცვლიან ტექნიკურ მონაცემებს.
3. TSO-ები განახორციელებენ ერთობლივ კვლევებს, სისტემაში არსებულ სარეზერვო სიმძლავრესთან დაკავშირებით, 2015 წლის ბოლომდე.

მუხლი 10

თანამშრომლობა ENTSO-E ინტეგრაციის პროცესთან დაკავშირებით

1. თურქეთის TSO გაუზიარებს საქართველოს TSO-ს თავის გამოცდილებას ENTSO-E ინტეგრაციის პროცესთან დაკავშირებული ტექნიკური და სამართლებრივი საკითხების შესახებ.
2. საქართველოს მთავრობის დაინტერესების და შესაბამისი მოთხოვნის წარდგენის შემთხვევაში და მას შემდეგ, რაც თურქეთის რესპუბლიკის მთავრობა გახდება ENTSO-E-ს წევრი, თურქეთის რესპუბლიკის მთავრობა მხარს დაუჭერს საქართველოს ენერგოსისტემის ინტეგრაციის პროცესს ENTSO-E-ში, ENTSO-E-ს წესების შესაბამისად.

მუხლი 11

ელექტროენერჯის დავალიანება

საქართველოს მთავრობა აცნობიერებს თავის ელექტროენერჯის დავალიანებას თურქეთის



რესპუბლიკის მიმართ, რომელსაც ადგილი ჰქონდა 1990 და 2011 წლების პერიოდში. აღნიშნული შეთანხმებით მხარეები თანხმდებიან, რომ 20 წლის განმავლობაში, დაწყებული იმ კალენდარული წლიდან რომელიც მოსდევს წინამდებარე შეთანხმების ხელმოწერას, საქართველოს მთავრობა გამოიწვევს და უზრუნველყოფს, რომ ESCO-მ, ზემოაღნიშნული ვალის დაფარვის მიზნით, TETAS-ს მიაწოდებს 1 000 000 000 კვტ.სთ ელექტროენერგიას ზემოაღნიშნული პერიოდის განმავლობაში, როგორც ფასდაკლებულ ვალს, რაც შეთანხმებულია მხარეთა მიერ. TETAS-მა და ESCO-მ ხელი უნდა მოაწერონ ოქმს, რომელიც მოიცავს ასეთი ფასდაკლებული ვალის გადახდასთან დაკავშირებულ დეტალებს. მას შემდეგ, რაც ფასდაკლებული ვალი სრულად მიეწოდება TETAS-ს, ვალი, რომელიც გააჩნია საქართველოს თურქეთის რესპუბლიკასთან მიმართებით, ზემოაღნიშნული პერიოდისთვის, ჩაითვლება, რომ დაფარულია სრულად.

მუხლი 12

ხარჯები

1. ხარჯები, რომელიც უკავშირდება წინამდებარე შეთანხმებით განსაზღვრულ აქტივობებს, ექვემდებარება შესაბამისი სახსრების ხელმისაწვდომობას, თითოეული მხარის საბიუჯეტო მოთხოვნებისა და შესაბამისი შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის თანახმად.
2. როდესაც განსაკუთრებული დაფინანსების საჭიროება განისაზღვრება მხარეთა მიერ, რაც საჭიროა წინამდებარე შეთანხმებით გათვალისწინებული ცალკეული აქტივობის განსახორციელებლად, მხარეებმა წერილობით უნდა ჩამოაყალიბონ საჭირო დაფინანსების ვადები და პირობები, საერთაშორისო შეთანხმებებისა და თითოეული მხარის შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 13

კონფიდენციალურობა

1. შესაბამისმა უწყებებმა უნდა შეიმუშაონ და გამოიყენონ კონფიდენციალურობის შესახებ სათანადო პირობები და გარემოებები, რომელიც უკავშირდება წინამდებარე შეთანხმებით განსაზღვრული თანამშრომლობის შედეგებს. წინამდებარე შეთანხმებით განსაზღვრული თანამშრომლობის შედეგები მხარეთა მიერ დაცულ უნდა იქნეს კონფიდენციალურად.
2. თუ მხარეს სურს გაუმჟღავნოს მესამე მხარეს წინამდებარე შეთანხმებით განსაზღვრული თანამშრომლობის შედეგები, წინასწარი წერილობითი თანხმობა უნდა იქნეს მოპოვებული მეორე მხარისაგან.
3. წინამდებარე შეთანხმებით განსაზღვრული თანამშრომლობის შედეგები შესაძლოა გამოქვეყნდეს მხოლოდ მხარეთა ორმხრივი წერილობითი თანხმობის საფუძველზე.
4. მიუხედავად წინამდებარე შეთანხმების შეწყვეტისა ან ვადის გასვლისა, მხარეებზე სავალდებულოდ ვრცელდება წინამდებარე მუხლის პირობები და მოვალეობები უვადოდ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აღნიშნული სხვაგვარად არის წერილობით შეთანხმებული მხარეთა შორის.

მუხლი 14

დავების მოგვარება

1. ნებისმიერი დავა, რომელიც წარმოიშობა მხარეთა შორის წინამდებარე შეთანხმების განმარტებასთან, გამოყენებასა ან განხორციელებასთან დაკავშირებით, უნდა მოგვარდეს მეგობრულად, მხარეთა შორის კონსულტაციებისა და/ან მოლაპარაკებების გზით.
2. თუ მხარეებს არ შეუძლიათ დავების მოგვარება დიპლომატიური არხების მეშვეობით ოთხმოცდაათი (90) დღის განმავლობაში, ნებისმიერმა მხარემ, მეორე მხარისათვის წერილობითი შეტყობინების გაგზავნის გზით, შესაძლოა გადაწყვიტოს, რომ სადავო საგანი წარუდგინოს სპეციალურად შექმნილ (ad hoc) საარბიტრაჟო სასამართლოს, აღნიშნული დავის საბოლოო და სავალდებულო გადაწყვეტის



მიზნით. შეტყობინება უნდა მოიცავდეს განცხადებას მოთხოვნის აღწერასთან დაკავშირებით და სამართლებრივი დაცვის საშუალებას (მათ შორის, დეკლარატორული დაცვა) და, ასევე, აღნიშნულთან დაკავშირებულ ფინანსურ საკითხს.

3. ასეთი, სპეციალურად შექმნილი (ad hoc) საარბიტრაჟო სასამართლო, უნდა დაკომპლექტდეს შემდეგნაირად:

(a) მხარემ, რომლის მიერ არის ინიცირებული საქმისწარმოება, უნდა დანიშნოს სასამართლოს ერთი წევრი და აცნობოს დავის მეორე მხარეს მისი დანიშვნის შესახებ, მეორე მხარის მიერ, წინამდებარე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შეტყობინების მიღებიდან 30 დღის განმავლობაში;

(b) წინამდებარე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შეტყობინების მიღებიდან 60 დღის განმავლობაში, მეორე მხარემ უნდა დანიშნოს ერთი წევრი. თუ დანიშვნა ვერ განხორციელდება გაწერილი ვადის განმავლობაში, მხარე, რომელმაც წამოიწყო საქმისწარმოება, უფლებამოსილია, წინამდებარე მუხლის მე-2 პარაგრაფით გათვალისწინებული შეტყობინების მიღებიდან ოთხმოცდაათი (90) დღის განმავლობაში მოითხოვოს, რომ დანიშვნა განხორციელდეს წინამდებარე მუხლის მე-3 (d) პუნქტის შესაბამისად;

(c) მესამე წევრი, რომელიც არ უნდა იყოს რომელიმე მხარის ეროვნების ან ამ ქვეყნის მოქალაქე, უნდა დანიშნოს მხარეთა მიერ. აღნიშნული წევრი იქნება სასამართლოს თავმჯდომარე. იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შეტყობინების მიღებიდან ას ორმოცდაათი (150) დღის განმავლობაში მხარეები ვერ შეთანხმდებიან მესამე მხარის დანიშვნასთან დაკავშირებით, დანიშვნა უნდა განხორციელდეს წინამდებარე მუხლის მე-3 (d) პუნქტის შესაბამისად, რომელიმე მხარის მოთხოვნის საფუძველზე, ასეთი შეტყობინების მიღებიდან 180 დღის განმავლობაში;

(d) მოთხოვნა დანიშვნასთან დაკავშირებით, რომელიც ხორციელდება წინამდებარე პუნქტის შესაბამისად, უნდა განხორციელდეს საერთაშორისო მუდმივმოქმედი საარბიტრაჟო სასამართლოს გენერალური მდივნის მიერ, ასეთი მოთხოვნის მიღებიდან 30 დღის განმავლობაში. თუ გენერალურ მდივანს არ შეუძლია წინამდებარე ამოცანის შესრულება, დანიშვნა უნდა განხორციელდეს ბიუროს პირველი მდივნის მიერ. თუ ეს უკანასკნელიც ვერ ასრულებს აღნიშნულ ამოცანას, დანიშვნა უნდა განხორციელდეს რანგობრივად უფროსი მოადგილის მიერ;

(e) დანიშვნები, რომელიც ხორციელდება წინამდებარე მუხლის 3 (a) - (d) პუნქტების შესაბამისად, უნდა განხორციელდეს დასანიშნი წევრების შესაბამისი კვალიფიკაციისა და გამოცდილების გათვალისწინებით, განსაკუთრებით, იმ საკითხებში, რომელსაც მოიცავს წინამდებარე შეთანხმება;

(f) მხარეებს შორის საპირისპიროზე შეთანხმების არარსებობის შემთხვევაში, საარბიტრაჟო წესებად გამოიყენება UNCITRAL-ის საარბიტრაჟო წესები, გარდა იმ შემთხვევისა, თუ აღნიშნული სხვაგვარადაა დარეგულირებული მხარეების ან არბიტრების მიერ. საარბიტრაჟო სასამართლო გადაწყვეტილებებს იღებს ხმათა უმრავლესობით;

(g) საარბიტრაჟო სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს დავა წინამდებარე შეთანხმებისა და საერთაშორისო სამართლის მოქმედი ნორმებისა და პრინციპების შესაბამისად;

(h) არბიტრაჟის გადაწყვეტილება საბოლოოა და სავალდებულოა შესასრულებლად მხარეებისათვის;

(i) საარბიტრაჟო სასამართლოს ხარჯები და, მათ შორის, მისი წევრებისთვის განკუთვნილი ანაზღაურებაც, თანაბრად ნაწილდება მხარეებზე. თუმცა, საარბიტრაჟო სასამართლო უფლებამოსილია, თავისი შეხედულებისამებრ, დააკისროს რომელიმე მხარეს ხარჯების უფრო მეტი წილის ანაზღაურება;

(j) თუ მხარეები სხვაგვარად არ შეთანხმდებიან, საარბიტრაჟო სასამართლო შეიკრიბება ჰააგაში და გამოიყენებს მუდმივმოქმედი საარბიტრაჟო სასამართლოს შენობა-ნაგებობებს;

(k) გადაწყვეტილების ასლი შეინახება სამდივნოში, რომელიც უზრუნველყოფს მის საზოგადოდ გასაჯაროებას.



მუხლი 15

ცვლილებები

წინამდებარე შეთანხმებაში ნებისმიერ დროს, შესაძლოა, შეტანილ იქნეს ცვლილებები მხარეთა ორმხრივი წერილობითი თანხმობის საფუძველზე. ცვლილებები ძალაში შედის იმავე სამართლებრივი პროცედურების შესაბამისად, რომელიც გაწერილია წინამდებარე შეთანხმების მე-17 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად.

მუხლი 16

ინტელექტუალური საკუთრება

მხარეებმა, თავიანთი შესაბამისი შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობისა და საერთაშორისო შეთანხმებების საფუძველზე, უნდა უზრუნველყონ ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ეფექტური დაცვა, რომელიც გადაეცემათ ან წარმოიშობა წინამდებარე შეთანხმების შედეგად. წინამდებარე შეთანხმების მიზნებისთვის, ინტელექტუალური საკუთრება განიმარტება ისევე, როგორ აღნიშნული გათვალისწინებულია ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის კონვენციის მე-2 (viii) მუხლით და რომელიც დადებულია 1967 წლის 14 ივლისს და რომელშიც ცვლილებები შეტანილია 1979 წლის 28 სექტემბერს.

მუხლი 17

შეთანხმების ძალაში შესვლა, ხანგრძლივობა და შეწყვეტა

1. წინამდებარე შეთანხმება ძალაში შედის, მხარეთა მიერ, დიპლომატიური არხების მეშვეობით, იმ უკანასკნელი წერილობითი შეტყობინების მიღების თარიღიდან, რომლითაც აცნობებენ ერთმანეთს, რომ შეთანხმების ძალაში შესასვლელად საჭირო თავიანთი შიდა სამართლებრივი პროცედურები დასრულებულია.
2. წინამდებარე შეთანხმება ძალაში რჩება 20 (ოცი) წლის ვადით და გრძელდება ავტომატურად, მომდევნო 5 (ხუთი) წლის პერიოდით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ერთ-ერთი მხარე წერილობით, დიპლომატიური არხების მეშვეობით, შეატყობინებს მეორე მხარეს, თავისი განზრახვის შესახებ, მოქმედება შეუწყვიტოს წინამდებარე შეთანხმებას, აღნიშნული თავდაპირველი ან ნებისმიერი შემდგომი ხუთწლიანი პერიოდის ამოწურვამდე 3 (სამი) თვით ადრე.
3. წინამდებარე შეთანხმების შეწყვეტამ გავლენა არ უნდა მოახდინოს იმ საქმიანობასა და პროექტებზე რომელიც მიმდინარეობს ან დასრულდა წინამდებარე შეთანხმების შესაბამისად.

ხელმოწერილია ქ. სტამბულში, 2015 წლის 9 აპრილს, ქართულ, თურქულ და ინგლისურ ენებზე. შეთანხმების ყველა ტექსტი თანაბრად ავთენტურია. წინამდებარე შეთანხმების განსხვავებული განმარტების შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება ტექსტს ინგლისურ ენაზე.

საქართველოს მთავრობის სახელით

თურქეთის რესპუბლიკის მთავრობის სახელით

კახა კალაძე

თანერ ილდიზი

საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრი

თურქეთის რესპუბლიკის ენერჯეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი



